

88 წელი თქვენთან ერთად!

88 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაბრათიონი


თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №7 {7036} 1 აპრილი 2021 წელი • www.Terjola.gov.ge

მხოლოდ დიდი ეროვნული შერიგება გადაგვარჩენს! ანუ ზღვარგადასული პარტიულ-პოლიტიკური პოლარიზაციისა და კორონავირუსული პანდემიის უმძიმესი წნეხის ქვეშ... (წერილი მეორე)

„თერჯოლის“ მკითხველმა კარგად იცის, რომ ჩვენი გაზეთი უპირატესად, მხოლოდ მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ჩვენი მოსახლეობის ყოველდღიური თუ გრძელვადიანი პრობლემების მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქებაზეა ორიენტირებული.

ეს მიმართულებები სარეაქციო პოლიტიკის ძირითადი ხაზებია, მაგრამ საქმიანობის დადგენილი ორიენტირები სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ გვერდი ავუაროთ თემებს, რომლებიც განსაკუთრებული სიმწვავეთი წარმოჩინდებიან დღევანდელი ქართული სახელმწიფოსა და მისი საზოგადოების რეალურ ცხოვრებაში.



ამავე სათაურით გამოქვეყნებულ ჩვენს პირველ წერილში („თერჯოლა“ №5-6, 15 მარტი, 2021 წელი), რომელიც ქვეყანაში უკიდურესად დაძაბული პოლიტიკური ატმოსფეროს განმუხტვისათვის, მმართველი გუნდისა და ოპოზიციის დიალოგის აუცილებლობას და ამ მიზნით, საქართველოში ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის სტუმრობას მიეძღვნა, დიდი იმედით ვწერდით:

„ჩვენს ქვეყანას, სადაც კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინაცია ჯერ კიდევ არ დაწყებულა, პანდემიური შეზღუდვების შერბილების პირობებში, დიდი ალბათობით, შეიძლება კოვიდის მესამე ტალღაც მოადგეს, რაც

შექმნილ მდგომარეობას უკიდურესობამდე დაამძიმებს...

როგორც საქართველოსა და მისი ხალხის სტრატეგიული პარტნიორები და მეგობრები აღნიშნავენ, გამოსავალი დიალოგშია, სადაც მმართველმა გუნდმა და ოპოზიციამ აუცილებლად უნდა მიაღწიოს შეთანხმებას!


ქვეყანას სასიცოცხლოდ სჭირდება წინსვლა, განვითარება, ეკონომიკური აღმავლობა, მოზღვავებული სოციალური პრობლემების უთუოდ გადაჭრა, სახელმწიფოებრიობის გაძლიერება, რაც მხოლოდ დაპირისპირებული ძალების გაერთიანებით, ჩვენს დიდ ეროვნულ შერიგებას შეუძლია!
ქვეყნისათვის გადამწყვეტ

მომენტში ჩვენი წინაპრები ყოველთვის ახერხებდნენ გვერდზე გადაედოთ პირადი ამბიციები და გაერთიანებულად საქვეყნო პრობლემების გადასაწყვეტად, ერთად დამდგარიყვენ და ერთად მიეღწიათ გამარჯვებისათვის!

ეს, ჯერ კიდევ ახლაც შეიძლება“!!!

სამწუხაროდ, ოპოზიცია-პოზიციას შორის მოლაპარაკება, რომელიც მარტის მეორე დეკადაში ევროპული საბჭოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის, შვედი დიპლომატის, ქრისტიან დანიელსონის და საქართველოში აშშ-ის ელჩის, კევინ დეგანანის მედიაციით ჩატარდა, ჩვენი ამ უცხოელი მეგობრების დიდი მცდელობის

14 აპრილი ქართული ენის ღღაა!



ქართული მართო ენაა?!
ქართული
ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა! -
იმოდენაა!

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

☎2

კორონავირუსი და ჩვენ...

სხვადასხვა ☎4

ვაქცინაცია-მთავარი
საშუალებაა კოვიდის
დასამარცხებლად!

☎6

ქვეყნის მომავლის შემქმნელები

☎8

9 აპრილი—ჩვენი ბოლობოთა და ამაღლება!



— 9 აპრილის ტრაგედია—1989 წლის 9 აპრილს, თბილისში მომხდარი სისხლიანი მოვლენები, რაც გამოიხატა საბჭოთა არმიის მიერ ანტისაბჭოთა, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მონყობილი მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევაში, რის შედეგადაც დაიღუპა 21 და დაშავდა 427 ადამიანი. 9 აპრილის მოვლენებმა წყალგამყოფის როლი შეასრულა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

— საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე.

7 აპრილს ხარებაა! გილოცავთ



ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

მარტის თვეში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს—ამ ორი მმართველობითი რგოლის, მათი სამსახურებისა და პირადად მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის ჩართულობით რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა, რომელთა შესახებ ჩვენს წინა ნომერში უკვე ნაწილობრივ ვაცნობთ „თერჯოლის“ მკითხველს, ნაწილის თაობაზე კი ქვემოთ მოვითხრობთ. გვერდი მომზადებულია მერიისა და საკრებულოს მიერ გაერცელებული ინფორმაციების საფუძველზე.

გამწვანებაც, დასუფთავებაც...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისთან თანამშრომლობით, ახალთერჯოლის ადმინისტრაციულ ერთეულში, ახალგაზრდების ინიციატივით გამწვანების აქცია მოეწყო.

აქციის მიზანი იყო ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება...

მარტის თვეშივე, დასუფთავების აქცია მოაწვევს მინიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებსაც...

მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი:

„ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება, განახლება და დაცვა ჩვენთვის პრიორიტეტული მიმართულებაა. დარგო ხე, გაამწვანო გარემო, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისთვის. ვფიქრობ, თითოეულმა მოქალაქემ უნდა იგრძნოს საკუთარი წილი პასუხისმგებლობა და იზრუნოს ეკოლოგიურად სუფთა, ჯანსაღი გარემოს შექმნაზე.“

მუნიციპალიტეტის მერია ხელს შეუწყობს ყველა იმ ღონისძიების განხორციელებას, რომელიც ბუნების დაცვას შეწყობს ხელს. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი თანამოქალაქეები აქტიურად ჩაერთვებიან თერჯოლის განაშენიანების საქმეში“.

სისხლის უანგარო დონაციის აქცია

მარტის თვეში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის და ქ. თბილისის მერიის შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“-ს ორგანიზებით, მოეწყო სისხლის უანგარო დონაციის აქცია.

სისხლის უანგარო დონაციის აქციაში, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებთან ერთად, მოქალაქეებიც ჩაერთვნენ.



აქციაში მონაწილეობის მიზანი სისხლის ბანკისთვის სისხლის სარეზერვო მარაგისა და მისი კომპონენტების რეგულარული შევსებაა. ვირუსუსაფრთხო სისხლის კომპონენტების გადასხმა საჭირო ხდება ავტოკატასტროფების, დამწვრობის, გულის ოპერაციების, გართულებული მშობიარობის, სიმსივნის, ლეიკემიის და სხვა დაავადებათა დროს.

ამასთან, სისხლის ბანკის მიერ, მოქალაქეებს უფასოდ და კონფიდენციალურობის სრული დაცვით ჩაუტარდათ შემდეგი გამოკვლევები:

- ჰემოგლობინი;
- B და C ჰეპატიტი;
- აივ ინფექცია (შიდსი);
- სისხლის ჯგუფისა და რეზუსის დადგენა.

მუნიციპალიტეტის მერია და შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“-ს წარმომადგენლები მადლობას უხდებიან აქციის მონაწილეებს მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამოჩენისთვის, რაც მეტად მნიშვნელოვანია კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა გადასარჩენად.

მორიგი დათათბირება ახალგაზრდობასთან...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის მაქსიმალური ხელშეწყობისათვის, მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის ინიციატივით გაიმართა მორიგი შეხვედრა ახალგაზრდობასთან.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა იმ დაგეგმილი პროექტებისა და პროგრამების შესახებ ისაუბრა, რომლებიც ახალგაზრდების მხარდასაჭერად უნდა განხორციელდეს.

„ჩვენთვის პრიორიტეტულია გადამწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა და მათი ინტერესების გათვალისწინება. ვფიქრობ ეს მიმართულება განსაკუთრებით უნდა იყოს გამოკვეთილი, რადგან თერჯოლაში ბევრი გონიერი ახალგაზრდა გვყავს და მათი შესაძლებლობები ჩვენი რაიონისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ უნდა მივმართოთ. მინდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა თითოეული მათგანის დამოკიდებულება, მათი გულწრფელობა, საქმისადმი ინტერესი და პასუხისმგებლობა. ეს არ არის შეხვედრა შეხვედრისთვის, ჩვენი მიზანია მათი ინიციატივების გათვალისწინებით მოხდეს გარ-



კვეული აქტივობების დაგეგმვა-რება და განხორციელება, ასევე ჩვენი მხრიდან იქნება მაქსიმალური ხელშეწყობა ახალგაზრდობის სწავლებისა და დასაქმების პროცესში“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

შეხვედრა დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობდა. მონაწილეებმა იმსჯელეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო, კულტურული სპორტული, ტურისტული აქტივობების განხორციელების გზებსა და შესაძლებლობებზე, ასევე, კონფერენციების, საჯარო ლექციების, ფორუმებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვაზე.

შეხვედრაზე გამოიკვეთა ის აქტივობები, რომლებიც სურთ, რომ თავიანთ რაიონში განხორციელდეს.

მათი ინტერესების არეალში—ეს ღონისძიებებია:

- საქველმოქმედო ხასიათის გამოფენა-გაყიდვა;
- მუსიკის ფესტივალი;
- სპორტული ღონისძიებები;
- თეატრალური დღეები;
- საღონური საუბრები თემატკით „მომავლის გზამკვლევი“.
- ქუჩის მხატვრობა.

შეხვედრაზე, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლები დაესწრნენ, აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია ახალგაზრდებს მუდმივად დაუჭერს მხარს ახალი აქტივობებისა და ინიციატივების განხორციელებაში.

ამჯერად სიქთარვა-ჩხარიენრის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, როგორც ამას მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი აღნიშნავს, მერიის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავ რჩება საგზაო ინფრასტრუქტურა. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში ხუთი მეტად მნიშვნელოვანი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ყველა ეს ობიექტი გარდამავალია და მერიის შესაბამისი სამსახურებისა და პირადად მერის მუდმივი კონტროლის ქვეშაა.


მორიგ ჯერზე მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, სოფელ სიქთარვისა და ჩხარიენრის დამაკავშირებელი 4,3 კმ-იანი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებით დაინტერესდა.

„თერჯოლაში წარმატებით მიმდინარეობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება. ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით კეთდება სოფ. სიქთარვისა და ჩხარიენრის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა, რომელიც გადაუდებელ რეაბილიტაციას საჭიროებდა. აღნიშნული პროექტი გარდამავალია და მომავალ წელს დასრულდება, პროექტის ფარგლებში მოეწყობა 4,3 კმ-იანი გრძივი მონაკვეთის საავტომობილო გზა. აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის



ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა, რათა მოსახლეობას ცხოვრების უკეთესი პირობები შეექმნას“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

აღნიშნული პროექტის სამუშაოებში სარეაბილიტაციო სამუშაოებს რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით შპს „ბორანი“ ასრულებს.




14 აპრილი ქართული ენის დღეა!

სმა კატამონთან

ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ, შენ ჩვენო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ, შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო, შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო, შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა, შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან. ნათესავს ათასს მეგობარს ათასს, მრუდსა და მართალს, მტერთა და ძმათა დავემორდი, მორჩა, ყველა მოთავდა, მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა, მხოლოდ შენ უკვდავს, მხოლოდ შენ მარადს, შენ - ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის კარად. თუ რამ მზე მწამდა, თუ რამ მზე მწავდა, უტკბილეს დღეთა უტკბილეს წამთა, უტკბესი შენ ხარ, ენას დედაო, შენ, მწარე ლხინო, ტკბილო სევდაო,

შენ, ყოვლის მთქმელო, ყოვლის არ მთქმელო, შენ, გმირთა გმირო, ბრძენო ქართველო, წარსულის ძეგლო, წინ გამხედავო. ქვესკნელში მძრომო, ცაში მჭვრეტელო. ხან - ფუნჯო ჩემო, ხან - საჭრეთელო, შენ, აკვნის ჰიმნო, ცრემლო სამარის... იბერის ენავ, ენავ თამარის... შენ, ნიჭო ჩემო, სრბოლავ და ფრენავ, დედაო ენავ, დედაო ენავ! დაეცეს, იქნებ სიმაგრე ყველა, მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად, დაედოს მტვერი ყველა დიდ სსოვნას, დააკვდეს აზრი ნაპოვნის ჰოვნას. ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი, ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი, მხოლოდ შენ უტყნობს, შენ ხატად ქცეულს, რა დრო, რა დასცემს შენს უკვდავ სხეულს? ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ, შენ, ჩვენო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ, შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო, შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო, შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა, შენ ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის პირთან. ირაკლი აბაშიძე




„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ!“

ჩვენი სულმნათი მუხრანი

12 აპრილი დიდი ქართველი პოეტის მუხრან მაჭავარიანის დაბადების დღეა. 1929 წლის აპრილში დაბადებულს განგებამ უხვად დააბერტყა კალმის ოსტატობის ნიჭი, მისი ყოველი სტრიქონი არა მარტო პოეტური შედევრი, მამულისათვის გულდამწვარი კაცის გულიდან ამოძახილია, იძიებს და აერთიანებს განდობილთ, ცდილობს მრუდსა და მართალს თავისი მიაგოს, მოუნოდებს, ეძახის, უხმობს... ესმის რა მისი ომანიანი ხმა, გაცეხული მსმენელი კვლავ ფიქრობს, რომ არ გადაშენებულა ქართული სული, ქართული ჯიშში, ქართული სისხლი:

შენ, სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო... შენ, სად არ გზვრებდა შავი ყორანი... ვინ გაგაკვირვოს, რამ გაგაკვირვოს, ნადიდგორალი, ნაშამქორალი. შენ, სისხლო ჩემო, შენი ღვანღია, რამაც აქამდეც კი მოაღწია: სვეტიცხოველი... ხანძთა ... ვარძია და ისიც, რაც მტერს წარუტაცნია. შენ, სისხლო ჩემო, შენი დინება „ვეფხისტყაოსნით“ ხშირად მიგრძენია... სიტყვა, რომელიც გეწოთიერება, ვცდილობ-გაშორო, რაც შემოძლია... შენ, სისხლო ჩემო, სისხლო ხნიერო, დაუცხრომელო და უცნაურო... საბედნიეროდ, საბედნიეროდ,— ჰაი, ჰაი, რომ კიდევ ხმაურობ!



უნდა გასცვიტო რამდენი ბონდი, უნდა იტვირთო რამდენი ლოდი, უნდა იგუო რამდენი ჭოტი, უნდა ინვნიო რამდენი შოლტი, უნდა გასწყვიტო რამდენი ბარდი, უნდა ახადო რამდენი ფარდა, უნდა დაღვარო რამდენი სისხლი, უნდა ჩაყლაპო რამდენი ზიზი, კაცი რომ გახდეს კუთვნილის ღირსი.


მწერლის გახსენება

ქალწილსა ქართული ენის დღეს

ოტია იოსელიანი განსხვავებული იყო. განსხვავებულად წერდა. მის ნაწერს ადვილად გამოარჩევდით. სუფთა, დახვეწილი ქართულით გადმოგვცემდით სათქმელს, ქალაქს და კალამს, მითუმეტეს მკითხველს და მსმენელს არ ტანჯავდა. მარტივად ალაგებდა აზრებს და ფრაზებს. ბევრი რამ მსმენელს მის ადამიანურ ღირსებებზე ჩვენი საყვარელი მომღერლის ვაჟა კუბლაშვილისაგან. ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ... ზუსტ თარიღს ვერ ვიხსენებ, ამას არცა აქვს მნიშვნელობა, იმ ხანად საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის თერჯოლის რაიონული განყოფილების გამგემ ამირან მაკარიძემ რედაქციაში გვასტუმრა ბატონი ოტია და აღნიშნული სამსახურის რესპუბლიკური უწყების ხელმძღვანელი, შესანიშნავი მოღვაწე და თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი ბატონი ლევან ღვინჯილია. გავიხარეთ. ბევრი ვისაუბრეთ ავსა და კარგზე, ჩვენი ყოფისა და ცხოვრების შუქ-ჩრდილებზე... ქართულ ენაზე უპირველესად! სამუშაო დღის ბოლოს ბატონი ამირანის ოჯახში მოვხვდით „პატარა ნასახემსებლად“... სადღეგრძელოები, რა თქმა უნდა, ძირითადად ქართული ოჯახისა და ქართული ენის ფენომენს შეეხებოდა... სასიამოვნოდ და შთამბეჭდავად საუბრობდნენ. ბატონი ლევანი, ჭეშმარიტი ერისკაცი, რომლის მცდელობითაც შეიქმნა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა, რა თქმა უნდა, ასევე პატრიოტული მოტივებით იყო ნასაზრდოები ჩვენი სასიკეთოდ მწერლის ყოველი სიტყვა და ფრაზა. სუფრას მეტი ემზი შესძინა „შემთხვევით“ შემოსწრებულმა სტუმარმა ვაჟა კუბლაშვილმა. როგორც ვინაერხებდი, ფარულად ვინიშნავდი ბატონი ოტიას პიროვნულ ნაზრევს უბის წიგნაკში, ვიცი მკითხველი ინტერესით ჩაავ-

ლებს თვალს: „შეიძლება დანგრეულის აღდგენა, ენა თუ წაიქცა მას ველარ აღადგენ“; „ყოველ ენას თავისი სუნი, გემო, ფერი, მუსიკალურობა აქვს. ენის ფესვებში უნდა ჩახვიდე“; „ენა კარადა არ არის, მოდა შეიცვლება და კარადას შეცვლი, მოგეხასიათება და სხვა ადვილას გადადგამ. შეაბრუნებ, შემოაბრუნებ—ენას ვერ შეცვლი“; „ენის ცოდნა, კულტურა, გამართული წერა ფიზიკოსსაც ევალება, აგრონომსაც, ექიმსაც“... „როცა გარედან გვანგრევენ, შიგნით მაინც უნდა ვაკეთოთ რაღაცა“; „ერთ ნიჭიერ რედაქტორთან ვმეგობრობდი. რამდენიმე მოთხრობაც გამოაქვეყნა, მარა პატიოსანი კაცი იყო და წერას თავი დაანება—წერა ძნელი საქმეა“; „ჩვენი ქართული ენა თავისი

ბარია დღეს სახელმწიფო მოხელეები რატომ თაკილობენ აზრის დალაგებულად, გამართულად, დახვეწილი და უბრალო ენით ვადაცემას“; „ტელევიზიაში ხშირად ამბინჯებენ ქართულ ენას. ლევან ღვინჯილია ერთი იმათგანია, რომელიც ყვირის, კივის და მოგვინოდებს ვაჟუფრობილდით ქართულ ენას“; „კაცი სულ უნდა იბრძოდეს. თუ მოეშვი, დაგეძინება. დაძინებული რას გააკეთებ. მე სულ ვამუნებ, სულ ვრგავ, ვახარებ, ვაჟა კუბლაშვილი და მისნაირი ხალხია დასაფასებელი. ცოტა ღვანკითურ კილოზე ლაპარაკობს, მარა კარგად მღერის. საქართველო ამ ხალხითაა. ამიტომ აქვს ბრძოლის აზრი. სულ მახსოვს სვანური ეპოსი: —ომი ვიქნითო, გივარგილ, ომი. —ჰო, ვქენითო, დედოფალო, ომი. —წავგიათო ომი, გივარგილ.



«ნუ ვიცი: მე ეს ვქენი, მე ის ვქენი, ეს გაუკეთებ და ის გაუკეთებ! თუ შენს მუცს აბაჯის დაქნახავს, რა გალავანავს და თუ სხვაზეც იცის — ის იცყვის!»

სილამაზითა და სრულყოფილობითაა გამორჩეული“; „დიდ ენათმეცნიერს ნიკო მარს უთვალავ ენაზე შეეძლო საუბარი. ეს კაცი ამბობდა—არ არსებობს უცხოური აზრი, გამოთქმა, რომლის ქართულად გადმოცემა არ იყოს შესაძლებელი. ამას ყველა ენა როდი დაიკვებინოს...ხოდა უნდა მოვუაროთ, ვაჟუფრობილდით, დავიცვათ“... „ილია ჭავჭავაძე უბრალო, გასაგები ენით წერდა, გაუგე-

—წავაგეთო ომი, დედოფალო. —მაშ, რაღა აზრი აქვსო ბრძოლას გივარგილ? —ბრძოლას ყოველთვის აქვსო აზრი, დედოფალო! სვანურ უმდიდრეს მითოლოგიას მინდოდა შევხებოდი. ნამოვიწყე კიდევ, მერე შევეშვი... სვანური ენა არ ვიცი. თუ ენა არ იცი, ისე ვერ ჩაწვდები, ვერ ვაითავისებ“... 6. ბაგყალიძე

ქვეყნის მომავლის შემქმნელები

შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (გენერალური დირექტორი ჯაბა სამუშია) 10 წელია ატარებს მოსწავლე-გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსს სახელწოდებით „ლეონარდო და ვინჩი“, რომლის სლოგანია „მეცნიერება კაპიტანია“. გასულ სასწავლო წელს, აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობისათვის, დარეგისტრირდა ქ. თერჯოლის №1 საჯარო სკოლის გუნდი. ყველაფერი კი ასე დაიწყო:


ერეკლე კირკიტაძე სკოლის მეთერთმეტეკლასელია, რომელსაც კლასის ხელმძღვანელი დავით ჩუბინიძე და სკოლის დირექცია ახასიათებენ როგორც უაღრესად მონესრიგებულ, ინიციატივიან და გონიერ მოსწავლეს. სასკოლო საგნებთან ერთად აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, პროექტებში. უყვარს ძიება, კონკურსებში მონაწილეობა და გამარჯვებისათვის ბრძოლა. მას, ჯერ კიდევ ბავშვური ფანტაზია, ხშირად,

და თანადგომაც გაუწია კლასის დამრიგებელმა, ფიზიკის მასწავლებელმა დავით ჩუბინიძემ. ასე შეიქმნა „სახანძრო, სასწრაფო, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საფრენი აპარატი „სელმეტი“... „მე და ჩემს მეგობრებს, ანდრეა გაბრიჭიძეს და ამირან რობაქიძეს გავვიჩინდა სურვილი ჩვენი წვლილი შეგვეტანა ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად. ამ ძიებამ მიგვიყვანა საფრენი აპარატის გამოგონებაზე, რომელ-

ვების, თუ დალუპვის ამბები. ამ სიტუაციაში ერთადერთი სატრანსპორტო საშუალება ვერტმფრენი, უამინდობის გამო ვერ ახერხებს შემთხვევის ადგილზე დროულად მისვლას, ასევე ხშირად ავციანებს სასწრაფო-სამედიცინო დახმარება. ჩვენს მიერ შექმნილ საფრენ აპარატს ექნება საშუალება დროულად მიფრინდეს შემთხვევის ადგილზე, მას აქვს საკმარისი სიჩქარე აქტიური ფრენისათვის. ამავე დროს აპარატი არანაირი მიზეზით არ შეიცვლის მოძრაობის ტრაექტორიას, სწორედ იქ მიფრინდება, სადაც ამის საჭიროება იქნება. „დრონი სელმეტი“ ჩვენი ჩანაფიქრით განსაკუთრებით მოხერხებული იქნება სახანძრო და სამედიცინო ბრიგადების დასახმარებლად“.

პროექტის იდეის ავტორი და ჯგუფის ლიდერი ერეკლე კირკიტაძე „თერჯოლას“ უყვება, რომ მედიკოსებს დრონი დაეხმარება საჭირო პირველადი დახმარების მედიკამენტები მიანოდონ ადამიანებს, როცა თვითონ ვერ ახერხებენ ადგილზე მისვლას.

რაც შეეხება სახანძრო სიტუაციებს, საფრენი აპარატი გამოყენებული იქნება მეხანძრეების დასახმარებლად. ის ნახშირორჟანგის ყუმბარებით ჩააქრობს ხანძარს. დაეხმარება მეხანძრეებს ისარგებლონ სწორი ტრაექტორიით დიდ ტყეში, ასევე დაეხმარება მათ სითბური კამერის მეშვეობით, ღამის სიბნელის პირობებშიც, ყველაფერი დაინახონ. დრონიზე დამონტაჟებული იქნება ძლიერი დინამიკი, საიდანაც პულტიდან გაიგზავნება ხმა დრონიზე. ამასთან ერთად მასზეა დამონტაჟებული LED განათება, რაც აძლევს ადამიანებს საშუალებას, რომ დრონი 4 კილომეტრიდან დაინახონ.



„ამოგზავნებდა“ საფრენი თუ სხვადასხვა სახის ტექნიკური საშუალებების სამყაროში. ერთი სიტყვით, ბოლოს ჩამოყალიბდა იმაზე, რომ გამოგონებინა ისეთი რამ, რაც ადამიანებს სარგებელს მოუტანდა განსაკუთრებით რთულ სიტუაციაში. იდეა მოუწონა და ხელმძღვანელობა

საც „სელმეტი“ დავარქვით. რატომ მაინც და მაინც დრონი „სელმეტი“? ჩვენ ყოველდღიურად გვესმის ტელეეკრანებიდან ტრავიკული ინფორმაციები: ავტოსაგზაო შემთხვევები, სამთო-სათხილამურო კურორტებზე, ან ალპურ ზონებში ტურისტთა ჩარჩენის, ტრამ-

„ჩვენი გამოგონება ეფუძნება ჰუმანურ იდეებს. მას შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს ადამიანებს, განსაკუთრებით რთულ სიტუაციაში. დრონი განიცდის ადაპტაციას ნებისმიერ სიტუაციაში და საუკეთესო მარშრუტით მიიწევს წინ. დრონი იქნება S 550 ტიპის, მას გააკონტროლებს APM 2,8, ის საუკეთესო მანევრირებით ახერხებს მოძრაობას. ფრენის სიჩქარე დამოკიდებული იქნება ამინდზე, ამის მიუხედავად დრონი მაინც მიაღწევს დანიშნულების ადგილს. დრონი დაიტენება როგორც ჩვეულებრივ ელექტრო სადენით, ისე მზის ენერჯით. მასზე მოთავსებულია FPV კამერები.“

„სელმეტმა“ ქვეყნის მასშტაბით მეოთხე ადგილი მოიპოვა, რაც ძალიან კარგი შედეგია. გამოგონების ავტორი ერეკლე კირკიტაძე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისგან და „თიბისი“ ბანკისგან ერთობლივი დაფინანსებით, 1 წლის განმავლობაში, მიიღებს სტიპენდიას, მასვე გადაეცა „ლეონარდო და ვინჩი 2020“-ის ჯილდო სერთიფიკატი.

რამდენად დაინერგება ცხოვრებაში „სელმეტი“ ამას მომავალი გვიჩვენებს, ხოლო ის ფაქტი, რომ სკოლის მოსწავლეები, ახალგაზრდები ფიქრობენ, აზროვნებენ და ქმნიან ძალიან დიდი საქმეა და მისასაღებელი. ეს არის წინაპირობა იმისა, რომ ისინი ცხოვრების გზაზე დაბრკოლების მიუხედავად, ადვილად იტყვიან სათქმელს და აუცილებლად დაიმკვიდრებენ თავიანთ ადგილებს ცხოვრებაში.

ასეთ შემთხვევაში მათი თანადგომა, რჩევა და დახმარება ძალზე მნიშვნელოვანია. ერეკლე განუთქოვს თეორიული და პრაქტიკული დახმარებისათვის მადლობას უხდის პედაგოგს, დავით ჩუბინიძეს და მეგობრებს, რომლებიც გვერდით ედგნენ და გარკვეულ დახმარებას უწევდნენ. იგი მადლობას უხდის აგრეთვე მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ლაშა გოგიაშვილს, თერჯოლის №1 საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ ელისო მურადაშვილს და იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრ „თერჯოლამედის“ დირექტორს ბატონ ვლადიმერ კეპულაძეს ფინანსური მხარდაჭერისათვის.

გზია ცაიფურიშვილი

საქართველოს აკადემიის, მხარეთმცოდნეო ინსტიტუტის და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაჯილდოების დირექტორი

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი

ლეონარდო და ვინჩი

სერტიფიკატი

ერეკლე კირკიტაძე

მიხეილ ჩხენკელი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

2020

ჯაბა სამუშია
შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი: **ვალერიან ბობიაშვილი** 599 92 49 75
 მთავარი რედაქტორი: **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია
 რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
 ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
 ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
 შ. ცხადაძე—558 90 82 55
 მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
 ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
 დაიბეჭდა ქუთაისის შპს „სომელი ენ“-ის სტამბაში
 ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
 „ლიბერთი ბანკი“
 LBRTGE22,
 ანგარიში
 GE32LB0113133960124000
 ს/კ 231948872